პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 280 (10056)

პარასკევი, 26 ნოემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — იდეოლოგიური მუშაობა მაღალ დონეზე. **დ. პაიჭაძე.** — ამხილეს პარტიული პროპაგანდის ნაკლოვანებანი (მე-2 გვერდი).
გ. ზარდალიშვილი. — მონღოლი ხალხის ეროვნული დღესასწაული (მე-2 გვერდი).
ს. შონია, რ. ზაქარაია. — როგორ მოამზადეს მუშათა საცხოვრებლები ზამთრისათვის (მე-2 გვერდი).
მოსკოვს ჩამოვიდა თვითმფრინავი ა. ი. ვიშინსკის ცხედრით (მე-3 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო [illegible] (მე-3 გვერდი).
შვეიცარიის მთავრობის პასუხი [illegible] 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სხ[illegible] (მე-3 გვერდი).
გერმანიის კომუნისტური პარტიის გასამართლება (მე-4 გვერდი).
მაქს რაიმანის განცხადება გერმანიის კომუნისტური პარტიის პროცესზე კარლსრუეში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებს

მშრომელთა ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებთან, უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაში. ეს მოწმობს საბჭოთა წყობილების ჭეშმარიტ დემოკრატიზმს, საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ შეგნებას. კომუნისტური პარტია ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი პარტიის ნაკადი იარაღის — კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამოყენებას ნაკლოვანებების, შეცდომების, ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშრომელთა წერილები საბჭოთა დაწესებულებებში, პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებში ქვემოდან კრიტიკის გამოხატულებას წარმოადგენენ. ეს წერილები მაჩვენებელია მასების შემოქმედებითი აქტივობის მუდმივი ზრდისა და მათი შეუნელებელი ზრუნვისა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

პარტია ასწავლის ჩვენს კადრებს დაუღალავად იზრუნონ საბჭოთა ადამიანებზე, გულისხმიერად მოეკიდონ მათს საჭიროებებს, მათს წინადადებებს, ყურადღებით განიხილონ ყოველი განცხადება, საჩივარი.

პარტია ასწავლის ჩვენს კადრებს მხურვალედ დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, იბრძოლონ იმის წინააღმდეგ, რაც დრომოჭმულია და ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, სწორად, გაუზვიადებლად შეაფასონ წარმატებანი და ამავე დროს შენიშნონ ნაკლოვანებანი, იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი მუშაობის არასწორი მეთოდებისათვის. მშრომელ მასებთან ცოცხალ კავშირს, შემოქმედებითს ხელმძღვანელობას „სინი ხშირად ცვლიან მიმოწერით, ადმინისტრირებით, უყურადღებო, ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა წერილებისადმი, მათი სამართლიანი მოთხოვნებისადმი.

მკითხველი ნ. ლეჟავა ამასწინათ რედაქციას სწერდა, რომ იგი ცხოვრობდა ქ. თბილისში მლეთის ქუჩაზე. მისი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე საუწყებო სახლის მშენებლობა დაიწყო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რომელმაც აღუთქვა მას, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ მისცემენ ბინას, რაც საგარანტიო წერილით გაფორმეს. მოქალაქე ამ წინადადებაზე დათანხმდა და მოლოდინში იყო, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ ახალ ბინაში შესახლდებოდა. სახლი აშენდა, რომელიც გადაეცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მოქ. ლეჟავას ხელთ აქვს საგარანტიო წერილი, ხოლო საცხოვრებელი ბინით დღესაც არ არის დაკმაყოფილებული. საგეგმო კომისია მას გზავნიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, ხოლო აღმასკომი — საგეგმო კომისიაში — და ასე დაუსრულებლივ. ბოლოს, როგორც იქნა, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იკისრა მთხოვნელის ბინით დაკმაყოფილება და აღუთქვა ახალაგებულ სახლში შესახლება. მას შემდეგ მრავალი სახლი აშენდა, მაგრამ მოქ. ლეჟავა არავის გახსენებია. ამ უკანასკნელ ხანს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ლეჟავას ბინით დაკმაყოფილება დააკისრა მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს. საბინაო სამმართველო მოქალაქეს ასეთ პასუხს აძლევს: „თავისუფალი ფართის უქონლობის გამო თქვენს თხოვნას ვერ დაკაკმაყოფილებთ. თქვენ უნდა მიმართოთ ოთახით დაკმაყოფილებისათვის საგეგმო კომისიას, ვინაიდან საგარანტიო წერილი ოთახით დაკმაყოფილებისათვის მიღებული გაქვთ მათგან“. საქმე თავიდან იწყება: იწერება მიმართვები, დგება ქაღალდების კორიანტელი, ხოლო მშრომელის სავსებით სამართლიანი მოთხოვნა ისევ უშედეგოდ რჩება. ეს ნამდვილი ბიუროკრატიზმია. ეს ფაქტი იმის დამასტურებელია, რომ ზოგიერთი მუშაკი რეალური დახმარების ნაცვლად მიმოწერით ცვლის ადამიანებთან ზამდვილ, ცოცხალ ურთიერთობას.

შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, როცა მშრომელთა წერილები, რომლებსაც რედაქცია უგზავნის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, თვეობით უმოძრაოდ დევს და პასუხს დიდი დაგვიანებით იტყობინებიან. ა. წ. თებერვალში რედაქციამ წალენჯიხის რაიონიდან მიიღო სოფლ-კორ ნ. ღვინჯილიას წერილი, რომელშიც ავტორი წერდა სოფელ ლეღვინჯილს კეთილმოუწყობლობის შესახებ. წერილი ზომების მისაღებად წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. აღმასკომი დროულად არ გამოეხმაურა საყურადღებო სიგნალს, და შედეგი რედაქციას დიდი დაგვიანებით, რვა თვის შემდეგ, შეატყობინა.

პასუხის დაგვიანებით გამოგზავნისა და ზერელედ შედგენის ფაქტი იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი პარტიული, სამეურნეო მუშაკი საქმეს ფორმალურად ეკიდება, არ ცდილობს ჩასწვდეს საყურადღებო კრიტიკული შენიშვნის არსს, საქმიანად გამოეხმაუროს მას.

გაზეთ „კომუნისტის“ 25 მაისის ნომერში გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი სათაურით „აფხაზეთში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება“, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩამორჩენას.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი საყურადღებო კრიტიკულ წერილს არ გამოეხმაურა, მამხილებელ წერილთან დაკავშირებით რედაქციას პასუხი არ შეატყობინა. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს არ გაუცია პასუხი გაზეთ „კომუნისტში“ ა. წ. იანვრიდან დღემდე დაბეჭდილ წერილებზე.

კომუნისტური პრინციპული კრიტიკა გვეხმარება იმაში, რომ დროზე გამოვააშკარავოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ვებრძოლოთ მუშაობაში დაბავსებულობას, რუტინას, საქმისადმი უდარდელ დამოკიდებულებას. მამხილებელი წერილები კრიტიკის ყველაზე მასობრივი ფორმაა და მათზე დროული გამოხმაურება ყველა ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკის გადაუდებელი ამოცანა უნდა იყოს.

პარტიული ორგანიზაციის დამოკიდებულება მშრომელთა წერილებისადმი იმის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია, თუ როგორ ზრუნავს იგი მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, რამდენად არის მზად ყური დაუგდოს მშრომელთა ხმას და გამოეხმაუროს მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა წერილების შინაარსს და იბრძოლონ იმისათვის, რომ ყველა დაწესებულება დროზე იღებდეს ღონისძიებებს ქვემოდან მიღებული სიგნალის გამო.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაკები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ ყველას, ვინც მათ მიმართავს, ყოველმხრივ ცდილობდნენ დახმარება გაუწიონ მთხოვნელებს, მხარი დაუჭირონ საქმიან წინადადებებს, აღკვეთონ მხილებული ნაკლოვანებანი. სწორად არ იქცევა საბჭოთა დაწესებულების ის ხელმძღვანელი, რომელიც განცხადებებისა და საჩივრების განხილვას ისეთ დაქვემდებარებულ მუშაკს გადააბარებს, რომელსაც მშრომელთა მიერ აღძრულ საკითხზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, უფლება არა აქვს გასცეს განკარგულება, მითითება. სწორედ ამის შედეგად ხდება, რომ ზოგჯერ ისეთი საქმე, რომლის გადაწყვეტა ადვილად შეეძლო ხელმძღვანელს, თვეობით და ზოგჯერ წლობით ჭიანურდება.

მუდამ ვიქონიოთ მჭიდრო კავშირი მასებთან, არ დავუშვათ ფორმალური, ბიუროკრატული დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნებისადმი, ყურადღებით მოვეპყროთ ქვემოდან მომდინარე ყოველ სიგნალსა და წინადადებას. მშრომელებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის ურღვევი კანონია.

მარგანეცის ტრესტმა შეასრულა 11 თვის გეგმა

ჭიათურა. (ტელეგრაფით, საკ. კორ.). მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჭიათურელმა მაღაროელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. 24 ნოემბერს მარგანეცის ტრესტმა შეასრულა 11 თვის გეგმა. მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან ლენინის, ორჯონიკიძის და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

ჭიათურელმა მაღაროელებმა გადაწყვიტეს 1 დეკემბრისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ა. ვ. სუვოროვის მუზეუმის 50-ე წლისთავი

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). მიმდინარე თვეში შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც ლენინგრადში გაიხსნა ა. ვ. სუვოროვის სახელობის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი. ამ თარიღს 24 ნოემბერს მიეძღვნა სპეციალური საზეიმო სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ სსრ კავშირის და ლენინგრადის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მუზეუმის შექმნის იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ 1898 წელს მოწინავე საზოგადოებრიობის წრეში, რომელმაც დააყენა საკითხი გამოჩენილი სარდლის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. გადაწყდა მუზეუმის აშენება. იგი აშენდა ხალხის ფულით, რომელიც ხელმოწერით გროვდებოდა მთელ რუსეთში, აგრეთვე არმიისა და ფლოტში.

ამავე დროს მუზეუმში მიჰქონდათ სხვადასხვა ექსპონატები — სამხედრო რელიკვიები, რომლებიც გადადიოდა სუვოროველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების შთამომავალთა თაობიდან თაობაში, ა. ვ. სუვოროვის პორტრეტები, მისი პირადი ნივთები, აგრეთვე სამხედრო რუკები, საბრძოლო ველების გეგმები, რუსული და ნადავლი იარაღის ნიმუშები, სუვოროვის ლაშქრობათა მონაწილე პოლკების დროშები, მოწიწაყმდეგის იმ ქალაქების გასაღებები, რომლებიც აღებული ჰქონდათ სუვოროვის დივიზიებს.

მუზეუმის საზეიმო გახსნას, რაც 1904 წლის ნოემბერში მოხდა, დიდძალი ხალხი დაესწრო.

საბჭოთა ხელისუფლებამ დამყარების შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გაიზარდა ა. ვ. სუვოროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტებისა და ექსპონატების შეგროვება და შესწავლა.

განუწყვეტელ ნაკადად მიედინება ხალხი დიდი სარდლის მუზეუმში. მთავარი დარბაზის ცენტრში მნახველები კითხულობენ ოქროთი დაწერილ სუვოროვის შესანიშნავ სიტყვებს: „კარგი სახელი უნდა ჰქონდეს ყველა პატიოსან ადამიანს, პირადად მე კარგ სახელად მიმაჩნდა ჩემი სამშობლოს დიდება“. აქვეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო ორდენების, კერძოდ, სუვოროვის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ორდენის დაწესების შესახებ.

მუზეუმის ექსპოზიციის სპეციალური ფართო განყოფილება ასახავს, როგორ პატივსა სცემს საბჭოთა ხალხი დიდი სარდლის ხსოვნას, როგორ სათუთად ინახავენ და ამრავლებენ საბჭოთა მეომრები სახელოვან სუვოროვულ ტრადიციებს.

ო. კარიშევი.

გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ა. გ. რუბინშტეინის დაბადების 125 წლისთავის გამო

28 ნოემბერს 125 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაიბადა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და მუსიკალური მოღვაწე ა. გ. რუბინშტეინი.

სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა ეს თარიღი 22 ნოემბერს მუსიკალური საღამოთი აღნიშნა. კომპოზიტორის ცენტრალურ სახლში შეიკრიბნენ ცნობილი მოსკოველი მსახიობები, კომპოზიტორები და მუსიკოსები.

საღამო გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ა. შაპორინმა, რომელმაც დაახასიათა ა. გ. რუბინშტეინის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობა რუსული მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის.

შემდეგ გაიმართა რუბინშტეინის ნაწარმოებთა დიდი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ა. ბ. გოლდენვეიზერმა, ნ. ბ. როეფეტაენსკაიამ, ვ. გ. დულოვამ, ს. ნ. კნუშევიცკიმ და ხელოვნების სხვა ოსტატებმა.

საღამოს მონაწილეებმა მოისმინეს რუბინშტეინის ოპერების არიების, რომანსებისა და სიმღერების მექანიკური ჩანაწერი დიდი რუსი მომღერლების — ა. ვ. ნეჟდანოვას, ლ. ვ. სობინოვისა და თ. ი. შალიაპინის შესრულებით. (საკდესი).

უკრაინის მტს-ებმა საგრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულეს

★

კიევი, 22 ნოემბერი. (საკდესი). უკრაინის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა. წელს მექანიზატორებმა ფართოდ გამოიყენეს თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. სიმინდი, მზესუმზირა და მთელი რიგი სხვა კულტურები ამ წესით დათესეს ფართობზე, რომელიც რამდენჯერმე აღემატება 1953 წლისას.

მნიშვნელოვნად გადიდდა შაქრის ჭარხლის, საკვები ძირხვენებისა და სხვა ტექნიკური და სათოხნი კულტურების ნათესების მწკრივთაშორისების მექანიზებული დამუშავება, აგრეთვე მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, სელის, კარტოფილისა და სიმინდის კომბაინით აღება.

კოლმეურნეობებში პირველად გამოიყენეს ფართო მასშტაბით სატრაქტორო სამუშაოთა ისეთი ახალი სახეობანი, როგორიც არის ბოსტნეულისა და სხვა კულტურების რწყვა მოძრავი საწვიმარი დანადგარების საშუალებით, ტორფის მოპოვება, ახვეტა, დატვირთვა და გამოზიდვა, შაქრის ჭარხლის კონტეინერებში ჩატვირთვა და გამოზიდვა, ბამბის აღება მანქანებით.

წელს უკრაინის მტს-ებმა კოლმეურნეობებში 200-მდე სახეობის სამუშაო შეასრულეს.

ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულეს

ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის დაწესებული სახელმწიფო გეგმა. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარეს და მიჰყიდეს 48 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე შარშან. ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 134,5 პროცენტით.

სვერდლოვსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულეს

სვერდლოვსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 58 ათასი ტონით მეტი კარტოფილი და 27 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე შარშან.

შესრულებულია მთელი მეგალურგიული ციკლის 11 თვის გეგმა

ზაპოროჟიე. 24 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ქარხანა „დნეპროსპეცსტალმა“ ვადამდე შეასრულა მთელი მეტალურგიული ციკლის 11 თვის გეგმა. მიმდინარე წლის დამდეგიდან ახალ სიმძლავრეთა გამოუყენებლად ფოლადის დნობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 15,6 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 6,9 პროცენტით. მუშათა შრომის ნაყოფიერება 20,1 პროცენტით აღემატება შარშანდელს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დიპლომებითა და მედლებით, აგრეთვე პრემიებით დაჯილდოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დიდი ჯგუფი ვოლოგდის ოლქში.

ვოლოგდის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიამ“ 344 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 2.717 კილოგრამი რძე, ას ჰექტარ სახნავ-სათესზე ამ მეურნეობაში მიღებულია 2.960 ცალი კვერცხი.

მეჟდურეჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბუდიონოვეცის“ საჯიშე მეღორეობის ფერმამ 21 დედაღორიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 28 გოჭი.

თვითეული ეს მეურნეობა დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანით.

მეორე ხარისხის დიპლომებითა და სატვირთო ავტომობილებით დაჯილდოებულია შვიდი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა და ვოლოგდის ოლქის მეცხოველეობის საცდელი სადგური.

ოლქში საუკეთესო მტს-ი — ჩერეპოვეცისა დაჯილდოებულია კინოდანადგარით. ბოლშესოსნოვსკის შვიდწლიანი სკოლა და უსტიუჟნის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა წრე სასკოლო სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობის სანიმუშო ორგანიზაციისათვის დაჯილდოებულია სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკით.

სოფლის მეურნეობის ექვსი მოწინავე დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ოქროს მედლით და სხვადასხვა პრემიით. კოლმეურნეობა „ბუდიონოვეცის“ მეღორეობის ფერმის გამგეს ა. ე. ლიუსკოვას, რომელიც დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ოქროს მედლით, პრემიად მიეცა ავტომობილი „პობედა“. (საკდესი).

მოსკოვი. კრემლის სანაპირო. ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

აგიტაცია ფართოდ გაჩაღდა

სოხუმი. (საკ. კორ.). გაჩაღდა მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. 1.500-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე შეუდგა არჩევნების დებულების პოპულარიზაციას. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით კარგად წარმართავს საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფიზსაცმლის კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. ჩიქოვანი). ამ დღეებში აქ გაიმართა აგიტკოლექტივის სპეციალური სემინარი, მიძღვნილი სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების პოპულარიზაციისადმი. კომბინატის 48 აგიტატორმა და წამკითხველ-მესაუბრემ ამომრჩევლებს უკვე გააცნო არჩევნების დებულების პირველი თავი. საინტერესო საუბრებს ატარებს აგიტატორი ა. გვენეტიძე.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა გაჩაღებულ სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, საკონსერვო ქარხნისა და საორთქლმავლო დეპოს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა შეიმუშავა თემატიკა იმ ლექციებისა და მოხსენებებისა, რომლებსაც მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში წაიკითხავენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში.

ლექციები. საუბრები

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის რაიონში შეიქმნა სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო პუნქტები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

საგრძნობლად გაიზარდა აგიტატორების, ლექტორების, პოლიტიკური მოძხსენებლების რიცხვი.

აგიტატორები ვ. ქრისტესიაშვილი, ს. ბაციკაძე, თ. მაისურაძე და სხვები, რომლებიც სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ეწევიან არჩევნების დებულების პოპულარიზაციას, თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე. საგიტაციო მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული აგრონომები, ზოოტექნიკოსები და აგროტექნიკოსები.

რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრები ამომრჩეველთათვის კითხულობენ ლექციებს. სოფელ კეხვის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამ დღეებში მოისმინეს ლექცია თემაზე — „სსრ კავშირის კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“. ლექციები გაიმართა დისევის, ვანათისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

შეჯიბრებაში გამარჯვებული

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა. ქარხანამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა 10 თვის საწარმოო დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 968 ათასი ბოთლი სამკურნალო წყალი, დაზოგა დიდძალი საწვავი და ელექტროენერგია.

ქარხნის კოლექტივმა სასურსათო მრეწველობის საწარმოებს შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 9 თვის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ბეექვსედ მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სასურსათო მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა და პირველი პრემია.

ჯილდოს პასუხად ქარხნის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესასრულებლად.

აბაშის მტს-მა მზრალად ხვნის გეგმა შეასრულა

აბაშის მტს-მა 20 ნოემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 1.514 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ჰექტარისა.

პარტიული ცხოვრება

იდეოლოგიური მუშაობა — მაღალ დონეზე

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა საკითხი იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. რუხაძემ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას იდეოლოგიურ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან კომუნისტთა პოლიტიკური განათლების, წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის საკითხებს. დაბალ იდეურ დონეზე ატარებენ მეცადინეობას პროპაგანდისტები გ. ფრუიძე (არტელი „დამკვრელი"), კ. სიხარულიძე (ხე-ტყის სავაჭრო საწყობი), ჯ. დონნაძე (საქჩაიმშენმონტაჟის სამშენებლო კანტორა) და სხვები. თავიანთ პროპაგანდისტულ მუშაობაში ისინი ნაკლებად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას, თვალსაჩინოებას. სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი მ. მაღლაკელიძე მედავითნურად, საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანებისაგან მოწყვეტით ატარებს მეცადინეობას.

ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების ერთი ნაწილი ბეჯითად, მთელი მონდომებით არ სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მაგალითად, შუშის ტარის ქარხნის დირექტორი კომუნისტი ა. გრიგოლაშვილი იშვიათად ესწრება თეორიული სემინარის მეცადინეობას, თავს არიდებს მოხსენება-რეფერატების მომზადებას. იგი თავს იმით იმართლებს, რომ სამეურნეო საქმეებით ვარ დატვირთულიო. თუმცა ქარხანაც ცუდად მუშაობს: 10 თვის საწარმოო გეგმა მხოლოდ 54,5 პროცენტით არის შესრულებული.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად პარტიის საქალაქო კომიტეტმა 110 კონსულტანტი შეარჩია და დაამტკიცა. პარტიულ ბიბლიოთეკაში შემოღებულია კონსულტანტთა მორიგეობა, ეწყობა ლიტერატურის გამოფენა სკკპ ისტორიის ცალკეული თემების მიხედვით. მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი არ ასრულებს პარტიის საწესდებო მოთხოვნას. მაგალითად, პირველი სამშობიარო სახლის ექიმმა გ. ბაკურაძემ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ დღემდე არ შესდგომია მეცადინეობას.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ვრცლად შეჩერდნენ პედაგოგიურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სამთო და სატყეო ტექნიკუმებში სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის იდეურად სუსტი ლექციების კითხვის შემთხვევები.

აღინიშნა ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. 1953-54 წლის სეზონისათვის მზადებას თეატრის კოლექტივი მთელი სერიოზულობით არ მოეკიდა. გასული წლის შეცდომებიდან თეატრის კოლექტივმა სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა. მიმდინარე სეზონში განსაბიერებულ სამი პიესიდან ორმა — ს. ჭეიშვილის „მათი გასაჭირი" და კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია" — ვერ დააკმაყოფილა მაყურებელი.

აქტივის კრებამ გამოამჟღავნა დიდი ნაკლოვანებანი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებაში.

— საავტომობილო ქარხანაში, — განაცხადა პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. აბზიანიძემ, — სამასზე მეტი აგიტატორია, მაგრამ ყველა მთელი პასუხისმგებლობით როდი ასრულებს თავის მოვალეობას. აგიტკოლექტივები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, აგიტატორები საჭირო დახმარებას ვერ იღებენ. ამხ. აბზიანიძემ დააყენა საკითხი ქარხანაში მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოშვებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მოწყობის შესახებ.

ლიტოპონის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. სანიკიძემ ილაპარაკა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის პარტორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ქარხანაში ხშირად იმართება ლექციებსა-მოხსენებები, საუბრები და საღამოები მიძღვნილი ხალხთა დიადი მეგობრობის თემისადმი.

საქალაქო გაზეთის „სტალინელის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. გ. ყურაშვილმა სწორად ცნო რედაქციის მუშაობის შესახებ აქტივის კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. გაზეთის ძირითადი ნაკლი, — განაცხადა მან, — ის არის, რომ ღრმად ვერ აშუქებს პარტიული ორგანიზაციების საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს. გასულ ათ თვეში მრავალი წერილი დაიბეჭდა კომუნისტების პოლიტიკური განათლების, წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის შესახებ, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა მეცადინეობის ორგანიზაციულ მხარეს შეეხებოდა და არა იდეურ შინაარსს.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

ბათუმი. ფეხსაცმლის ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროში ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომკავშირელი გალინა ბოგუში, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 200-250 პროცენტით ანაღდებს. **სურათზე:** გ. ბოგუში თავის სამუშაო მანქანასთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

ამგვგი საწარმოებიდან

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივს წელს მესამე კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის მიეკუთვნა სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს თამბაქოს ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა. ამავე ფაბრიკის კარგი მუშაობა აღნიშნულია სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის ბრძანებით.

ქუთაისის ხორცკომბინატმა, რომელიც სამტრედიის ხორცკომბინატის კოლექტივს ეჯიბრება, წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა.

ლაგოდეხის რაიონის კომეურნეობებმა სატყეო მრეწველობის მუშაკთა დასახმარებლად დაამზადეს 1.000 კუბმეტრი ხეტყე ნაცვლად 500 კუბმეტრისა, ხოლო ტყეებიდან გამოიზიდეს 1.283 კუბმეტრი ნაცვლად 1.000 კუბმეტრისა.

ამას წინათ გურჯაანში რკინიგზის ტრანსპორტზე უმწიკლო მუშაობისათვის და ნომსახურობისათვის სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა რკინიგზელთა ჯგუფს — ა. ს. დალაქიშვილს, დ. რ. დოლენჯიშვილს, ვ. მ. ზაკალაშვილს, ი. ი. ფანქველაშვილს და სხვებს, სულ 38 რკინიგზელს.

„კომუნისტის" სიგნალის მიმდეგ

„სოფლის კინოქსელი უკეთესად უნდა მუშაობდეს"

ამ სათაურით „კომუნისტის" მიმდინარე წლის 24 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი ამხილებდა სოფლად კინომომსახურების საქმეში თანაუთის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაობის ნაკლოვანებებს.

მშრომელთა დეპუტატების თიანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად შეეფერება სინამდვილეს. ეს საკითხი განხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება სოფლის მშრომელთა კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის. კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. გ. ცომაიას გამოეცხადა საყვედური.

ამხიდეს პარჭიული პროპაგანდის ნაკლოვანებანი

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის ვოროშილოვის „სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა — პარტბიუროს მდივანმა რ. ჩავლეიშვილმა და კამათში გამოსულმა კომუნისტებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე.

— კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოუველია ციტრუსოვანთა პლანტაციები, ყურადღება არ ექცევა მოსავლიანობის გადიდების საქმეს, — განაცხადეს კომუნისტებმა. — ეს ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ მოისუსტებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

როგორც კრებაზე გამოირკვა, თითქმის სრულიად მივიწყებულია კოლმეურნეთა შორის პოლიტიკური აგიტაცია. აგიტკოლექტივი უმოქმედობას იჩენს. მესამე ბრიგადაში აგიტატორებად არიან სირაძე და ქოქენტი. ისინი არ იცნობენ კოლმეურნეობის, ბრიგადის წინაშე მდგომ ამოცანებს, არ უმეცნენ საველე გაზეთებს. ბრიგადაში მოუწყობელია შრომა, მოიხსენიებს დისციპლინა. ასევე ცუდად მუშაობენ აგიტატორები ბარამაძე, გოგიჩაიშვილი, სარჯველაძე და სხვები.

პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილია პოლიტსკოლა, რომელშიც გაერთიანებულია 11 კომუნისტი, ხოლო 9 კომუნისტმა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა ისურვა. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ზრუნავს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ კომუნისტები ა. ცინცაძე, რ. ცინცაძე და სხვები პარტიის წევრისათვის შეუფერებლად იქცევიან.

პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა კომკავშირის პირველად ორგანიზაციას. კომკავშირულ პოლიტსკოლაში მსმენელთა ერთი ნაწილი სისტემატურად არ ესწრება მეცადინეობას, დაბალია მეცადინეობის იდეური დონე. ჩაშლილია კოლმეურნე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა. კომუნისტი ა. აბულაძე, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი, სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს.

კრების მონაწილეებმა გააკრიტიკეს პარტიის ბათუმის რაიკომი, რომელიც ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მონღოლი ხალხის ეროვნული დღესასწაული

30 წლის წინათ, 1924 წლის 26 ნოემბერს, მონღოლეთის პირველმა დიდმა სახალხო ხურალმა (მონღოლეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება) მიიღო კონსტიტუცია და გამოაცხადა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა.

მონღოლი ხალხი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა უცხოელ დამპყრობთა და ადგილობრივ ექსპლოატატორთა ჩაგვრას.

საბჭოების ქვეყანამ უანგარო დახმარება გაუწია მონღოლი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიას გაეწმინდა მონღოლეთის მიწა-წყალი იმპერიალისტი ინტერვენტებისაგან და ამით განემტკიცებინა რევოლუციის გამარჯვება. მონღოლი და საბჭოთა ძებრძოლების სისხლით შეკავშირებული მეგობრობა მას შემდეგ არასოდეს არ შეწყვეტილა და სულ უფრო მტკიცდება.

1921 წლის რევოლუციამ მონღოლეთი გაათავისუფლა კოლონიური მონობისაგან, მაგრამ სახალხო მთავრობასთან ერთად დროებით დარჩა, თუმცა შეზღუდული, მონარქიის ძალაუფლება.

1924 წელს კონსტიტუციური მონარქიული წყობილება რესპუბლიკური წყობილებით შეიცვალა. მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმად მთელი ძალაუფლება მონღოლეთში მშრომელთა ხელში გადავიდა. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა იყო შედეგი მონღოლი ხალხის ხანგრძლივი და მძაფრი ბრძოლისა ფეოდალთა და უცხოელ კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ.

მიიღეს რა თავისუფლება, მონღოლეთის მშრომელებმა რუსეთის პროლეტარიატის ძმური დახმარებით, განვლეს დემოკრატიულ გარდაქმნათა დიდი გზა, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო ფეოდალიზმის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ და ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით განვითარებისათვის პირობების შექმნისაკენ. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიო ისტორიაში პირველი მაგალითია, როდესაც ქვეყანა ფეოდალიზმიდან უშუალოდ სოციალიზმისაკენ მიდის. პრაქტიკულად სრულდება დიდი ლენინის სიტყვები, რომ „მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატს შეუძლია და კიდეც უნდა დაეხმაროს ჩამორჩენილ მშრომელ მასებს, და რომ ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარება თავისი ახლანდელი სტადიიდან შეიძლება გამოვიდეს მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკების ძლევამოსილი პროლეტარიატი ხელს გაუწოდებს ამ მასებს და შეძლებს მხარი დაუჭიროს მათ". (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 290).

საბჭოთა კავშირთან მჭიდრო მეგობრობითა და თანამშრომლობით მონღოლმა ხალხმა შეძლო უდიდესი წარმატებებისათვის მიეღწია ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში, დაეცვა თავისი მონაპოვარი იაპონელ ინტერვენტთა ხელყოფისაგან, აგრეთვე დიდი წვლილი შეეტანა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლაში.

მონღოლეთისა და საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობის საუკეთესო მაგალითია 1946 წლის თებერვალში დადებული ხელშეკრულება მეგობრობის, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაუწია მონღოლ ხალხს მისი პირველი ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებაში.

თავისი არსებობის 30 წლისთავს მონღოლი ხალხი ხვდება ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობითა და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით მონღოლეთში წარმატებით ხორციელდება ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა (1953-1957 წ. წ.). მონღოლმა ხალხმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ, სოციალიზმისაკენ.

* * *

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალურ აზიაში. მისი ფართობი 1,5 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია და თითქმის სამჯერ აღემატება ევროპის უდიდესი ქვეყნის — საფრანგეთის ფართობს.

მშრალი ჰავის, წყლის სიმცირისა და უდაბნოს დიდი ფართობების გამო მონღოლეთში მიწათმოქმედება შეზღუდულია, სამაგიეროდ მეურნეობის წამყვანი დარგია მომთაბარე მეცხოველეობა.

დიდძალი საზაფხულო და ზამთრის საძოვრები ხელს უწყობენ მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობისა და მეთხეობის განვითარებას. მეცხოველე არატისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენსა და აქლემს, როგორც მიმოსვლის ერთერთ საშუალებას უდაბნოს პირობებში. 1953 წელს პირუტყვის სულადობა რესპუბლიკაში 1948 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვითეულ მცხოვრებზე 32 სული პირუტყვი მოდის და ამ მაჩვენებლით მონღოლეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

წლითიწლობით მზარდი მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქცია ნედლეულის მდიდარ ბაზას უქმნის მონღოლეთის მრეწველობას. 30 წლის წინათ აქ არცერთი საწარმო არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნალაიხას ქვანახშირის საბადოს, რომელიც აღმოჩენილი იყო რუსი გეოლოგების მიერ 1912-1913 წლებში. ამჟამად რესპუბლიკაში ვითარდება საკუთარი მრეწველობა. 1922 წელს აშენდა ტყავის პირველი ქარხანა ულან-ბეთაში. უდიდესი საწარმოა ჩოიბალსანის სახელობის ულან-ბატორის სამრეწველო კომბინატი, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით არის აშენებული და აერთიანებს ათამდე სახის წარმოებას (ნაბდის, ტყავის, ფეხსაცმლისა და სხვა საწარმოები). აშენებულია მატყლის საწმენდი საწარმოები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დიდ როლს ასრულებს კვების მრეწველობა. სტალინის სახელობის ულან-ბატორის დიდი ხორცკომბინატის, ქ. ბაინხონგორის კვების კომბინატის, ერბო-კარაქის საწარმოების პროდუქცია არა მარტო აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას, არამედ მონღოლეთის გარეთაც გაიქვთ. შექმნილია თევზის დიდი საწარმოები.

რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მთის ბროლის და ქვანახშირის მოპოვებას.

ამჟამად რესპუბლიკა მოფენილია კეთილმოწყობილი საავტომობილო გზებით. 1949 წლიდან პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა არსებობს ქ. ნაუშკიდან (სსრ კავშირი) მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორამდე (სიგრძე 400 კმ), ხოლო ქ. ჩოიბალსანი აღმოსავლეთით უშუალოდ უკავშირდება ციმბირის მთავარ მაგისტრალს სადგურ ბორზიასთან (სიგრძე 220 კმ).

„სამი მოძმე რესპუბლიკის გზა"—ასე უწოდებენ რკინიგზის ახალ ხაზს, რომელიც მიემართება ულან-ბატორიდან სასაზღვრო პუნქტ ძამინ-უდემდე (სიგრძე 550 კმ) და შემდეგ შეუერთდება ჩინეთის უდიდეს სარკინიგზო მაგისტრალს (ბეიჯინი — კალგანი — პეკინი). აღნიშნული გზა ექსპლოატაციაში შევა 1955 წელს. ამას უდიდესი კულტურულ-ეკონომიური მნიშვნელობა ექნება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის. ამრიგად, თუ ორიოდე ათეული წლის წინათ რესპუბლიკაში არც ერთი კილომეტრი რკინიგზის ხაზი არ იყო, 1955 წლისათვის რკინიგზის ხაზების საერთო სიგრძე 1.200 კილომეტრზე მეტი იქნება.

სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ მონღოლეთში ყველა პირობა შექმნა კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. უკვე თითქმის ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, 450 საშუალო და დაწყებით სკოლაში სწავლობენ მშრომელთა შვილები. 1946 წლის იანვრიდან შემოღებულია ახალი ალფაბეტი რუსული ალფაბეტის საფუძველზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს რესპუბლიკაში. 1942 წელს ულან-ბატორში გაიხსნა ჩოიბალსანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ხუთი ფაკულტეტით), სადაც მზადდება ეროვნული კადრები — ექიმები, ეკონომისტები, პედაგოგები, ზოოტექნიკოსები და სხვ. მონღოლეთის მეცნიერებათა კომიტეტი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლა-გამოვლენებისათვის. შექმნილია ეროვნული თეატრი, კინემატოგრაფია, ვითარდება ეროვნული ხელოვნება, ფერწერა და სხვ. რესპუბლიკაში გამოდის 27-გაზეთი და 16 ჟურნალი.

ეკონომიურ მიღწევათა საფუძველზე განუხრელად იზრდება მონღოლი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. სახალხო მთავრობა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

მონღოლი ხალხი მტკიცე რწმენით უყურებს თავის მომავალს. ეყრდნობა რა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უანგარო ძმურ დახმარებას, იგი განუხრელად მიდის წინ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით.

დოცენტი ბ. ზარდალიშვილი.
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ულან-ბატორის საერთო ხედი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

როგორ მოამზადეს მუშათა საცხოვრებელი ზამთრისათვის

მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმე ჩვეულებრივად ზამთრის პერიოდში უფრო რთულდება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთრისათვის არა მარტო საწარმოების, თვითეული სამუშაო ადგილის მომზადებას, არამედ ამასთან ერთად მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო საცხოვრებლების, თვითეული მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის, მოსამსახურის ბინის მომზადებას.

ამიტომ არის, რომ მიმდინარე წლის კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების ვალდებულებანი ზამთრისათვის მუშათა საცხოვრებელი სახლების მომზადების დარგში. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ზრუნვა ყველგან როდი იგრძნობა.

მაგალითად, თუ საბურთალოზე, ტბის ქუჩაზე საქართველოს ჰიდროენერგოშენის ტრესტის კოტეჯებსა და კაპიტალურ სახლებში მცხოვრები მშენებელი ინჟინრები დარეჯან სიხარულიძე და ვერა ნოსუდკო, დიასახლისები მარიამ რაჩენკო და როზა გოჩუა კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ტრესტის ხელმძღვანელებმა ყველა ზომა მიიღეს ამ სახლებში მობინადრეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, საუკეთესოდ შეასრულეს ყველა სამუშაო ზამთრისათვის ამ სახლების მოსამზადებლად, სამაგიეროდ იმავე ტრესტს დიდუბეში სამტრედიის ქუჩაზე შეუკეთებელი აქვს პირველი და მეორე მუშათა საერთო საცხოვრებელი, კეთილმოუწყობელია მათი ეზოები. ამ სახლების შეკეთებისათვის გათვალისწინებული 75 ათასი მანეთიდან ჯერ უმნიშვნელო თანხაა ათვისებული. ამავე ქუჩაზე მეექვსე საცხოვრებელი სახლის ფასადი შეკეთებას საჭიროებს. შესამე და მეოთხე დროებით საცხოვრებელ სახლებში სახურავები დაზიანებულია და წვიმა ჩამოდის. ეზოში გაკეთებული არ არის წყალსაწრეტები, რის გამო წვიმის დროს ეზო გაუვალი ხდება. ამ სახლების მობინადრეებმა — მემონტაჟე მ. ლომსაძემ და მშენებელმა მუშამ ს. კბილეცეცხლაშვილმა ამის გამო რამდენჯერმე მიმართეს ტრესტის საბინაო-კომუნალურ განყოფილებას (გამგე ნ. ადიბეგოვი), მაგრამ მათს განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია.

— ჩვენს ოთახში იატაკი გამაგრებული არ არის. კარი ისე ვიწროა, რომ ოთახში ავეჯი ვერ შეგვაქვს, ხოლო უფრო დიდი და ძვირფასი ნივთების შეტანაზე ლაპარაკიც ზედმეტია, — აცხადებს დიასახლისი ირინე ჟოლოპი.

მეექსკავატორე ქ. კოლოსიდამ და ელექტროშემდუღებელმა ს. კიჩიკოვმა სახელი გაითქვეს, როგორც მოწინავე მშენებლებმა, მაგრამ შეიხედეთ მათს საცხოვრებელ ბინებში. ფანჯრებს მინები არა აქვს, ბინები კეთილმოუწყობელია, არა აქვთ არც საკუჭნაო, არც სამზარეულო.

მაუდ-კამვოლის კომბინატის სამეურნეო პარტორგანიზაციამ ... ელექტროშემდუღებლებმა ... ბინებიდან ... ადგილი გამოიჩინეს ზამთრისათვის მზადებაში და მეტიც გააკეთეს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ბრძოლის ქუჩაზე ოთხივე საცხოვრებელ სახლში შეასრულეს ყველა საჭირო სარემონტო სამუშაო, დაათბუნეს ბინები, მოიმარაგეს სათბობი, შექნეს ყველა პირობა იმისათვის, რომ სამუშაოდან შინ დაბრუნებულმა მუშამ კარგად დაისვენოს.

წელს კომბინატის კოლექტივისათვის დამთავრებულ იქნა ხუთსართულიანი ახალი საცხოვრებელი სახლის აგება. ამ სახლში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების 70 ოჯახი შესახლდა.

ზამთრისათვის მზადებაში აქაც აქვთ ნაკლოვანებანი. წყალტუბოს ქუჩაზე კომბინატის კოლექტივის საცხოვრებელი სახლის შეკეთება ჭიანურდება კირის, ცემენტისა და მათეთრას ნაკლებობის გამო. შესაკეთებელია აგრეთვე კლუბი და სასადილო.

ზამთრისათვის მზადებაში ჩამორჩა მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკა, რომლის ხელმძღვანელებიც, ეტყობა, ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკას საბჭოს ქუჩაზე აქვს საკუთარი სახლი, რომელიც მას მხოლოდ ფორმალურად ეკუთვნის. მკერავებისათვის კი მხოლოდ ორი ოთახია გამოყოფილი საერთო საცხოვრებლად. ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს ამ ორი ოთახის კეთილმოწყობაც კი.

ფაბრიკის ადმინისტრაციას კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს 46-ბინიანი სახლის აშენება ავჭალის გზატეხილზე. მშენებლობას უკვე შეუდგნენ, მაგრამ ისეთი ნელი ტემპით, რომ თუ ასე გაგრძელდა, ეს სახლი საეჭვოა რამდენიმე წლის შემდეგაც იქნეს მზად.

ზამთრისათვის მუშათა საერთო საცხოვრებლების კარგად მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა საწარმოთა კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვების მთავარი პირობაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მიღწევა, ხოლო შრომის წაყოფიერების ზრდის ერთერთი რეზერვია მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება.

ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ზამთრისათვის მზადების სამუშაოთა შესრულებისას.

ს. შოლია,
რ. ზაქარაია.

მოსკოვს ჩამოვიდა თვითმფრინავი ა. ი. ვიშინსკის ცხედრით

24 ნოემბერს ღამით ნიუ-იორკიდან მოსკოვს ჩამოვიდა სპეციალური თვითმფრინავი, რომლითაც ჩამოასვენეს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. ი. ვიშინსკის ცხედარი.

ვნუკოვოს აეროპორტის შენობა სამგლოვიაროდ არის მორთული. აქ მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ამხანაგები მ. გ. პერვუხინი, ა. ა. გრომიკო, კ. პ. გორშენინი, ა. თ. გორკინი და მ. ა. იასნოვი, განსაკუთებულის ნათესავები და მახლობლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ესწრებიან უცხო სახელმწიფოთა საელჩოების მეთაურები და თანამშრომლები.

23 საათი და 50 წუთია. თვითმფრინავი ძირს ეშვება. აეროდრომზე ჩამწკრივებულია სამხედრო ესკორტი. გაისმის სამგლოვიარო ჰანგები. ა. ი. ვიშინსკის ცხედარი და გვირგვინები გამოაქვთ თვითმფრინავიდან. სამგლოვიარო პროცესია ქალაქისაკენ მიემართება. (საკდესი).

ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის სხეულის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევის შედეგები

მოსკოვში 1954 წლის 25 ნოემბერს მოხდა ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე **ვიშინსკის** სხეულის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევა.

განკვეთისას აღმოჩნდა გულის გვირგვინოვან სისხლძარღვთა მკვეთრად გამოსახული ათეროსკლეროზი. გულის მარცხენა პარკუჭის კედელში აღმოჩნდა ნაწიბური, რომელიც წარმოიშვა წარსულში გადატანილი მიოკარდის ინფარქტის შედეგად.

სწრაფი სიკვდილი გამოიწვია გვირგვინოვან ძარღვთა სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევამ.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. ი. სტრუკოვი.
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. პ. ავცინი.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ნ. პ. ფოგელანგა,
გ. ი. ცურეინკო.
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4
სამმართველოს უფროსი — პროფესორი ა. მ. მარკოვი.

ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

25 ნოემბერს ღამით მოხდა ა. ი. ვიშინსკის ცხედრის კრემაცია.

urნა ა. ი. ვიშინსკის ნეშტით დადგმულია კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესვლა შეიძლება 26 ნოემბერს დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვა მოხდება დღეს, 1954 წლის 26 ნოემბერს, დღის 3 საათზე წითელ მოედანზე.

ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო

პრაღა, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგმთა სააგენტო გადმოგვცემს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს.

სოფია, 24 ნოემბერი. (საკდესი). ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმმა, მინისტრთა საბჭომ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს.

ვენა, 24 ნოემბერი. (საკდესი). ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

დელი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის მთავრობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყოფილმა თავმჯდომარემ ვიჯაია ლაქშმი პანდიტმა გაზეთ „სტეიტსმენში“ გამოაქვეყნა ა. ი. ვიშინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატია.

კაირო, 24 ნოემბერი. (საკდესი). ეგვიპტის პრესა აქვეყნებს ა. ი. ვიშინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მასალებს.

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან გადმოგვცემს: სირიის პრემიერ-მინისტრმა ფარის ელ-ჰურიმ ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო განაცხადა, რომ „არაბებმა მეგობარი დაკარგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის მე-8 გენერალური კონფერენცია

მონტევიდეო, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკოს) მე-8 გენერალური კონფერენციის დღის პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტისა და ადმინისტრაციული კომისიის რეკომენდაციები.

პლენარული სხდომის დასაწყისში კონფერენციის თავმჯდომარემ მუნისმა დამსწრეთ აცნობა, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ი. ვიშინსკი. ინდოეთის დელეგაციის წარმომადგენელმა სამძიმარი გამოთქვა ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო. როგორც მან განაცხადა, ა. ი. ვიშინსკი იყო ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ხალხთა გაერთიანებისათვის ბრძოლაში. ინდოეთის წარმომადგენლის წინადადებით იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ ერთსულოვნად გამოუცხადა სამძიმარი საბჭოთა მთავრობას ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო.

შემდეგ გენერალურმა კონფერენციამ მიიწვია რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის რეკომენდაციები პარაგვაისათვის, როგორც იუნესკოს წევრისათვის რწმუნებათა მინიჭების შესახებ, აგრეთვე იუნესკოს ზოგიერთი წევრისა და მეთვალყურის რწმუნებათა სათანადო გაფორმების შესახებ.

შემდეგი საკითხი იყო ადმინისტრაციული კომისიის რეკომენდაციები, რომლებიც შეტანილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის წინადადებით — იუნესკოს წესდების იმ ნაწილის შეცვლის შესახებ, რომელიც ეხება იუნესკოს აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობას. კომისიამ მოითხოვა, რომ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში იყოს 22 კაცი, რომლებსაც აირჩევს გენერალური კონფერენცია იუნესკოს წევრი სახელმწიფოების მიერ დანიშნულ წარმომადგენელთა რიცხვიდან და თვითეული მათგანი წარმოადგენს თავის მთავრობას.

კენჭისყრის შედეგად შესწორებას ხმა მისცა 49 დელეგაციამ, წინააღმდეგ 9 და თავი შეიკავა 3 დელეგაციამ. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციებმა ხმა მისცეს შესწორებას.

შვეიცარიის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე

24 ნოემბერს შვეიცარიის მისიამ მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა შვეიცარიის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე.

პასუხში შვეიცარიის მთავრობა მადლობას უხდის საბჭოთა მთავრობას მისი 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტისათვის და მიესალმება ინიციატივას, „რომლის მიზანია შეიქმნას მსოფლიოში და, კერძოდ, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე რეჟიმი“. „შვეიცარიის კონფედერაცია, — ნათქვამია საპასუხო ნოტაში, — ყოველთვის ცდილობდა და ახლაც ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ მიზნის განხორციელებაში, ამავე დროს ერთგულია მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუტისა“. შვეიცარია „ვერ მიემხრობა ამ სტატუტთან შეუთავსებელ კოლექტიური უშიშროების რაიმე სისტემას, რომლის შეთავსებაც არ შეიძლება ამ სტატუტთან და რომელიც გამოიწვევს მის მონაწილეობას ერთობლივ ღონისძიებებში სხვა ქვეყნის მიმართ“.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა ნოტაში დასმული ზოგიერთი საკითხი წამოიჭრა უკანასკნელი ომისა და იმის შედეგად, რომ არ არსებობს საზავო ხელშეკრულებანი, შვეიცარიის მთავრობა აცხადებს, რომ ეს საკითხები უნდა განიხილონ იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომელთა კომპეტენციასაც შეადგენს მათი გადაჭრა. შვეიცარიის მთავრობას „ამასთანავე არა ჰგონია, რომ ახლანდელ სტადიაში კონფედერაციის მონაწილეობას ამ განხილვაში შეუძლია ხელი შეუწყოს ამ პრობლემების გადაჭრას“.

თუმცა შვეიცარიის მთავრობას არ მიაჩნია შესაძლოდ მიიღოს მიწვევა, რომელსაც შეიცავს 13 ნოემბრის ნოტა, მაგრამ მზად არის განიხილოს ის საკითხი, რომ შვეიცარიამ მონაწილეობა მიიღოს სრულიად ევროპის თათბირში და, მუდმივი ნეიტრალიტეტის ფარგლებში, ითანამშრომლოს მშვიდობისა და უშიშროების რეჟიმის შექმნაში, რომელსაც მიემხრობა ევროპის ყველა ქვეყანა, როცა „პრობლემები, რომელთა განხილვაში შვეიცარიას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, გადაწყდება, ან, თუ ამ პრობლემებით უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნები დათანხმდებიან მოიწვიონ თათბირი, რომლის მიზანი იქნება ევროპის უშიშროების შექმნა“.

მოითხოვენ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას

ბერლინი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ბონის მმართველი წრეები ვერ ბედავენ პირდაპირ უარყონ საბჭოთა კავშირის წინადადებანი და ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა, აცხადებენ რა, რომ თითქოს არიან მონაწილეობა მიიღონ ევროპის თათბირში, მაგრამ მხოლოდ პარიზის საძხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ.

ბერლინის დემოკრატიული პრესა ამხილებს ბონის მთავრობის ამ უხეშ მანევრს. მოჰყავთ რა შესაბამისი ადგილები ვ. მ. მოლოტოვის პასუხიდან „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე, გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რატიფიკაცია პარიზის შეთანხმებისა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ შეუთავსებელია სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეასთან და გერმანიის გაერთიანებასთან მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

წარმატებითი მოლაპარაკება, წერს ამასთან დაკავშირებით „ნოიეს დოიჩლანდი“, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეიქმნება ახალი წინაპირობები, რომლებიც დაძაბულობის შენელების ნაცვლად გააშეშავებენ მდგომარეობას ევროპაში, შეუძლებელს გახდიან გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და სამსახურს გაუწევენ არა მშვიდობის საქმეს, არაპირ ომის მომზადებას. ასეთი მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, თუ დაამტკიცებს პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ.

დამახასიათებელია, რომ ადამიანებს, რომლებიც ქადაგებენ ლოზუნგს „ჯერ რატიფიკაცია, შემდეგ მოლაპარაკება“, სიტყვაც კი არ დაუძრავთ იმაზე, თუ სახელდობრ რაზე უნდა წარმოებდეს მოლაპარაკება რატიფიკაციის შემდეგ. ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცათ, ისინი გამოამეღავნებდნენ თავიანთ ნამდვილ სახეს. ყველასთვის გასაგებია, აღნიშნავს გაზეთი, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შემდეგ შეუძლებელია გერმანიის თავისუფალ და დემოკრატიული არჩევნები, რომელიც გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების წინაპირობაა.

გაზეთი „ფაციონალ-ციტუნგი“ აღნიშნავს, რომ იმათ, ვინც აცხადებს, რომ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის ვადა, რომელიც საბჭოთა კავშირმა დასახა, ძალიან მოკლეა, „სურთ არა კოლექტიური უშიშროება, არამედ სამხედრო პაქტი რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიასთან“.

ადენაუერის მთავრობა, წერს გაზეთი, ცდილობს რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს პარიზის შეთანხმებანი. ამ შეთანხმებათა საფუძველია დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენა, რომელიც უკვე გახდა დამკვრელი ძალა ომისაკენ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება გვასწავლის, რომ გერმანიის მილიტარიზმი მუდამ თავს ესხმოდა უშიშარეს ყოველისა დასავლეთს.

კონკრეტული წინადადება ევროპის მშვიდობის სასარგებლოდ

მონტევიდეო, 24 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ვოზ ოპერარია“ სარედაქციო სტატიაში „კონკრეტული წინადადება ევროპის მშვიდობის სასარგებლოდ“ ხაზგასმით აღნიშნავს კოლექტიური უშიშროების საკითხზე ევროპის სახელმწიფოთა თათბირის მოწვევის შესახებ საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტის უდიდეს მნიშვნელობას. „გერმანიის ხელახლა შეიარაღების მზარდი საფრთხის წინაშე, — წერს გაზეთი, — რომელიც გადამწყვეტი პრობლემაა ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის, საბჭოთა მთავრობა იღებს ახალ ღონისძიებას, რომლის მიზანია გამორიცხოს სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა.

ევროპის ხალხებს სურთ უწინარეს ყოვლისა შექმნან მშვიდობიანი დემოკრატიული ვითარება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ უზრუნველყონ ეროვნული დამოუკიდებლობა“.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა მიზანია ევროპის ნამდვილი მშვიდობის უზრუნველყოფა, ევროპის ხალხთა დამოუკიდებლობა და გერმანიის მილიტარიზმის განვითარებისათვის გზის გადაღობვა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

სტოკჰოლმი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე ძუშაობენ სხვადასხვა კომისიები და ქვეკომიტეტები. სტოკჰოლმში კვლავ ჩამოდიან მშვიდობის საბჭოს სესიის მონაწილენი. კერძოდ, გუშინ ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე. პლენარულ სხდომებთან და კომისიების მუშაობასთან ერთად ეწყობა მრავალი შეხვედრა, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა მოღვაწეთა შორის ურთიერთობის დამყარებასა და გაფართოებას.

მოეწყო სესიის დამსწრე მეცნიერთა შეხვედრა შვეიცის მეცნიერებთან, აზიის ქვეყნების ყველა დელეგაციის შეხვედრა, ევროპის ყველა დელეგაციის შეხვედრა, სესიის მონაწილე მწერალთა შეხვედრა შვედ მწერლებთან. გაიმართა ავრეთვე შეხვედრა „მშვიდობის რეისის“ მონაწილეებთან ამ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ბოლონეთის, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა, სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მწერალმა ნ. ტიხონოვმა.

შვეიცის სხვადასხვა ქალაქში იმართება მშვიდობის მომხრეთა კრებები, მიძღვნილი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიისადმი. ქალაქ ტრელებორგის კრების მონაწილეებმა, რომელიც მოაწყო შვეიცარ-სსრ კავშირის ადგილობრივმა საზოგადოებამ, მისალმება გაუგზავნეს საბჭოთა დელეგაციას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე. მისალმებაში ნათქვამია:

„ვთხოვთ გადასცეთ ჩვენი მისალმება სესიის პრეზიდიუმის წევრებსა და ყველა მონაწილეს, ავრეთვე ჩვენი სურვილები—მიაღწიონ წარმატებას საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელების საქმეში. ყველა ქვეყნის მოლაპარაკება და ურთიერთგაგება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საფუძველია“.

ქალაქ მალმეში მასობრივ კრებას, რომელიც შვეიცარ-პოლონეთის საზოგადოებამ მოაწყო, დაესწრო 400 კაცი. კრების მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი მისასალმებელი მიმართვისა პოლონეთის დელეგაციისადმი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე. მშვიდობის მომხრეთა კრება გაიმართა ავრეთვე ქალაქ ქრისტიანსტადში.

სტოკჰოლმი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დღის პირველი ნახევრის განმავლობაში მამდინარეობდა განხილულ საკითხებზე რეზოლუციების შემმუშავებელი კომისიის სხდომები.

დღის მეორე ნახევარში დაიწყო სესიის საბოლოო პლენარული სხდომა.

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გუშინდელი სხდომა გაიხსნა იტალიის პარლამენტის დეპუტატის ლომბარდის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე გამოვიდნენ მთელი რიგი ორატორები, რომლებიც ჩაწერილი იყვნენ წინა დღეებში.

ინდონეზიელი ჟურნალისტის სუგარდოს და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლის ნიკსონის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლეოდა გერმანიის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის თავმჯდომარეს ოტო ნუშკეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). შეეხო რა პარიზის შეთანხმებებს, ნუშკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და იმას, რომ დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ იგი გამოიყენოს სამხედრო დაჯგუფების შესაკოწიწებლად. გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა საბოლოო ანგარიშით ომს ნიშნავს. ამ საშიშარ საფრთხეს უნდა დავუპირისპიროთ ევროპის კოლექტიური უშიშროების პოლიტიკა. ევროპის ყველა ხალხის პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბლოკებისა და აგრესიული სამხედრო კავშირების აღმოფხვრა. ეს იდეა გამოიხატა ამ წინადადებებში, რომლებიც ვ. მ. მოლოტოვმა წამოაყენა ბერლინის თათბირზე ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

ასეთ სისტემას, განაგრძო ოტო ნუშკემ, შეუძლია გაერთიანოს და კიდევაც უნდა გაერთიანოს ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ასეთ სისტემას ნამდვილად შეუძლია უზრუნველყოს ახალი აგრესიისაგან. ამ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს ევროპის ყველა ხალხის უსაფრთხოება. იგი იძას ნიშნავს, რომ საფრანგეთის მისწრაფება უშიშრობისადმი ისევე დაკმაყოფილდებოდა, როგორც უზრუნველყოფილი იქნებოდა პოლონელი ხალხის ეროვნული ინტერესები; ბალკანეთი ალარ იქნებოდა ევროპის ვულკანი; იტალია მეტ გავლენას მოიპოვებდა ევროპაში თავისი მდიდარი ტრადიციების მეოხებით; შვეიცარია და ფინეთის პოლიტიკა—ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ნაყოფს გამოიღებდა მთელი ევროპისათვის; ინგლისი ალარ იფიქრებდა „ძალების წონასწორობის“ პოლიტიკაზე; გერმანია, ბოლოს და ბოლოს, გახდებოდა დამაკავშირებელი რგოლი ევროპაში, მშვიდობის ქვეყანა.

რა თქმა უნდა, ევროპის კოლექტიური უშიშროების ასეთმა სისტემამ თავიდან უნდა აიცილოს წარსულის შეცდომები. საბჭოთა კავშირი — ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო — ევროპის მშვიდობისა და ევროპის უშიშროების ბურჯი უნდა იყოს.

ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თქვა შემდეგ ნუშკემ, მივესალმებით აგრეთვე საბჭოთა კავშირის ამ წინადადებას, რომ ამერიკამ მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში კოლექტიური უშიშროების პაქტის შესახებ. შეერთებულ შტატებს შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. თუ ევროპის კოლექტიური უშიშროება გარანტირებული იქნება აგრეთვე შეერთებული შტატების მიერ, მაშინ განხორციელდება საფრანგეთის ზოგიერთი წრეების სურვილი, რომ საფრანგეთის უშიშროება უზრუნველყონ ვაშინგტონმაც და მოსკოვმაც.

დასასრულ, ასეთ კონფერენციაში დიდი ჩინეთის მონაწილეობა დაანახვებდა მთელ მსოფლიოს, რომ მშვიდობა საყოველთაო და გაუუყოფელია და რომ უნდა ვეცადოთ ევროპელ კოლექტიურ უშიშროებას მსოფლიოს ყველა ნაწილში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხაზგასმით აღნიშნა ნუშკემ, იმის მომხრეა, რომ გერმანია მშვიდობიან საფუძველზე გაერთიანდეს. ამიტომ ჩვენ არ გვინდა, რომ გერმანიის ერთი ნაწილი ცდილობდეს მეორე ნაწილს თავს მოახვიოს თავისი სურვილი. ასეთ ცდას კარგი არაფერი მოჰყვება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არავითარ პირობას არ აყენებს ფედერალურ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებისათვის სრულიად გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მომზადებისა და მოწყობის შესახებ. ჩვენ, კერძოდ, მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება წინასწარ პირობად წამოვაყენოთ არჩევნების იმ სისტემის მიღება, რომელიც არსებობს ფედერალურ რესპუბლიკაში, ან ჩვენში...

გერმანიის საკითხი რომ მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე გადაიჭრას და შეიქმნას მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი გერმანია, ამისათვის განსაკუთრებით საჭირო და გადაუდებელია გაუქმდეს პარიზის შეთანხმებანი, ხელი შეუშალოთ მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში, ხელი შეუშალოთ იმას, რომ გერმანიის ესა თუ ის ნაწილი სახელმწიფოთა აგრესიულ დაჯგუფებში შეიყვანონ.

დასასრულ ოტო ნუშკემ გამოთქვა რწმენა, რომ გერმანელი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს, რათა გერმანია მშვიდობის ქვეყნად გადაიქცეს.

ამით დამთავრდა გამოსვლები სესიაზე და გამოცხადდა სხდომის შეწყვეტა.

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). 23 ნოემბერს საღამოს გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა. [illegible] ზეც მოისმინეს [illegible] მუშაობის შესახებ.

თავმჯდომარ[illegible] აცხადა, რომ [illegible] ორგანიზაციო საკითხთა კომისიას შემოაქვს წინადადება აირჩიონ მშვიდობის საბჭოს მთელი რიგი ახალი წევრები. ლომბარდი აქვეყნებს კანდიდატთა სიას. სესიის მონაწილენი ერთსულოვნად იღებენ წინადადებას მშვიდობის საბჭოს ახალი წევრების არჩევის შესახებ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს:

ხოსე და ფროტა მორეირა, პარლამენტის დეპუტატი (ბრაზილია);

ალბერტო კავალკანტი, კანონიერებების მოღვაწე (ბრაზილია);

სეზარ დაკორსო, მეთოდისტური ეკლესიის მეთაური (ბრაზილია);

იორის ივენსი, კანონიერებების მოღვაწე (პოლანდია);

პურბოდინინგრატი, პროფესორი (ინდონეზია);

სირაჯუდინ აბასი, პარლამენტის მუსლიმანური ჯგუფის თავმჯდომარე (ინდონეზია);

ნინო ფოლიარეზი, პროფესორი (იტალია).

შემდეგ სესია გადადეს გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მიღებაზე. სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს:

1. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა ხალხებისადმი — „ევროპის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის მათი საერთო უშიშროების ორგანიზაციის მიზნით“.

2. რეზოლუცია მდგომარეობის შესახებ, რომელიც აზიის სხვადასხვა ნაწილში შეიქმნა უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად.

3. რეზოლუცია მდგომარეობის შესახებ, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეიქმნა ერების საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის შედეგად.

4. რეზოლუცია განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შესახებ.

5. რეზოლუცია მდგომარეობის შესახებ, რომელიც დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში შეიქმნა უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად.

6. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწვევის შესახებ.

7. რეკომენდაცია მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობის საორგანიზაციო საკითხებზე (შემოიტანა საორგანიზაციო საკითხთა კომისიამ).

8. მოწოდება დიდი კულტურული წლისთავების მოწყობის შესახებ.

9. რეკომენდაცია მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობის კულტურული საქმიანობის საკითხზე (შემოიტანა კულტურის საკითხთა კომისიამ).

სესიის დახურვის წინ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ ლომბარდიმ. აღნიშნა რა მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის წარმატებანი, მან დაადასტურა, რომ ამჟამად მშვიდობისათვის მოძრაობა მოქმედების სტადიაში შევიდა, რისი შედეგიც იყო ომის შეწყვეტა ინდოჩინეთსა და კორეაში, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმების ჩაშლა. მაშ უფრო მედგრად ვიბრძოლოთ, თქვა ლომბარდიმ, მშვიდობის საქმისათვის. ამჯერად ჩვენი ბრძოლა გაშუქებულია არა მარტო იმედით, არამედ რწმენითაც.

ლომბარდის უკანასკნელ სიტყვებს სესიის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია დახურულად ცხადდება.

მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა აზიის სხვადასხვა ნაწილში უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიიღო რეზოლუცია „მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა აზიის სხვადასხვა ნაწილში უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად“. რეზოლუციაში ნათქვამია:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ შეისწავლა აზიის მდგომარეობა და კმაყოფილებას გამოთქვამს იმ მრავალმნიშვნელოვანი ბედნიერი მოვლენების გამო, რომლებმაც ხელი შეუწყო კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტას, შექმნა პირობები აზიის მშვიდობისათვის და გააადვილა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

ჟენევის თათბირის შედეგები მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებაა. ინდოჩინეთში შეწყდა საომარი მოქმედება, და მრავალი წლის მანძილზე პირველად მსოფლიოს ამ რაიონში ალარ არის დიდი ომები.

ინდოეთისა და ჩინეთის პრემიერ-მინისტრების ერთობლივმა დეკლარაციამ კონკრეტული ფორმა მიანიჭა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეალს შემდეგი ხუთი პრინციპის საფუძველზე:

1. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა.

2. თავდაუსხმელობა.

3. სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაუურევლობა.

4. თანასწორუფლებიანობა და ურთიერთსარგებლობა.

5. მშვიდობიანი თანაარსებობა.

ამ პრინციპებს მხურვალედ გამოეხმაურნენ აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხები და ეს პრინციპები მიიღეს ბირმის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის მთავრობებმა და ინდონეზიის მთავრობის ხელმძღვანელებმა. ამ ხუთმა პრინციპმა არა მარტო საფუძველი ჩაუყარა აზიის მშვიდობასა და კოლექტიურ უშიშროებას, არამედ ამასთანავე ამ ხუთი პრინციპის მიღება საფუძველს ჩაუყრიდა ყველა ქვეყნის მშვიდობიან თანაარსებობასა და მეგობრულ ურთიერთობას.

ამ მოვლენებმა განამტკიცა აზიის ერთიანობა და სოლიდარობა, დაამსხვრია იმათი იმედები, ვინც ცდილობს აიძულოს „აზიელები იბრძოლონ აზიელების წინააღმდეგ“. მაგრამ ომის მომხრენი კვლავ და კვლავ ცდილობენ განახორციელონ აზიაში თავიანთი ბატონობის გეგმები იმ გზით, რომ შექმნან სამხედრო პაქტები, მოაწყონ საომარი პროვოკაციები, სულ უფრო ჩაერიონ აზიის ერების საშინაო საქმეებში და ძალადობა იხმარონ ხალხების მიმართ.

ეს ზრახვები რომ ჩაიფუშოს და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა და უშიშროება აზიაში, მშვიდობის მსოფლიო საბჭო აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს:

1. გაფართოონ და განამტკიცონ მშვიდობის ზონა აზიაში და დაამყარონ მშვიდობიანი და კოლექტიური უშიშროება ხუთი პრინციპის საფუძველზე.

2. წინაალმდეგობა გაუწიონ იმის ცდებს, რომ შეიქმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიული ბლოკი და ჩაფუშონ ამ პროექტის განხორციელება ისევე, როგორც სხვა სამხედრო ბლოკების პროექტებისა, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების — პაკისტანის პაქტი, რომლებიც აზიელებს ამხედრებენ აზიელების წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

3. მოითხოვონ შეწყდეს უცხოელთა ბატონობა და ჩარევა აზიის ყველა რაიონში, მათ შორის მალაიაში, დასავლეთ ირიანში (ჰოლანდიის ახალი გვინეა) და გოაში. მიაღწიონ იმას, რომ გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი სამხედრო ძალები ამ ტერიტორიებიდან, აგრეთვე

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

ევროპის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის მათი საერთო უშიშროების ორგანიზაციის მიზნით

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიიღო მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„იმ დროს, როცა კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტამ და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პროექტის უარყოფამ მთელ მსოფლიოს მისცა იმ დავის ლიკვიდაციის იმედი, რომელიც სახელმწიფოებს თიშავს, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი ხალხებს აყენებენ მრისხანე საფრთხის წინაშე, რომელიც თვითეული მათგანისათვის ნიშნავს „ვერმახტის“ აღორძინებას, იმ დროს, როცა წამოყენებულია ახალი წინადადებანი, რომელთა განხორციელებას შეუძლია უზრუნველყოს გერმანიის გაერთიანება, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რეალიზაცია მძიმე ლახვარს ჩასცემდა გერმანელი ხალხის დემოკრატიულ და ეროვნულ ძალებს, გააძლიერებდა გერმანული მილიტარიზმის პრეტენზიებს და დაადასტურებდა გერმანიისა და ევროპის გათიშვას.

მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღწეული პროგრესი განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის მწვავე საკითხზე განამტკიცებს მშვიდობის იმედს, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა განხორციელება გამოიწვევდა ახალ გამალებულ შეიარაღებას, რომლის ტვირთი მალე აუტანელი გახდებოდა ყველასათვის.

პარლამენტებმა რომ ეს შეთანხმებანი დაამტკიცონ, მაშინ არა მარტო შესაძლებელი აღარ იქნებოდა მოლაპარაკება, არამედ შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, რომელიც ახალ საფრთხეს მოუვლენდა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ამრიგად ხალხები დაყენებული არიან დრამატული ალტერნატივის წინაშე: ან მოლაპარაკება, რომელიც შეიძლება დაგვირგვინდეს გონივრული შეთანხმებით, ან თვითნებობის აქტი, რომელიც არარად აქცევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, — დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება და მისი შეყვანა სამხედრო პაქტში.

ხალხებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას.

ხალხებმა უნდა მოითხოვონ, რომ ოთხმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება თავისუფალი არჩევნების გზით გერმანიის გაერთიანების მიზნით, აგრეთვე ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების მიზნით.

ხალხებმა უნდა მოითხოვონ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის, მიუხედავად მათი წყობილებისა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უშიშროება და საერთო კეთილდღეობა ყველას თანამშრომლობის გზით.

არავითარ მთავრობას, არავითარ პარლამენტს უფლება არა აქვს გადაწყვიტოს ხალხის ბედი მისი ნების წინააღმდეგ. ხალხები არავის არ მისცემენ ნებას ჩაიდინოს გამოუსწორებელი რამ.

ისინი არ დაუშვებენ გერმანიის ხელახლა შეიარაღების განხორციელებას და თავიანთი ერთობლივი მოქმედებით გზას გაუხსნიან ევროპის უშიშროებასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო.

სტოკჰოლმი, 1954 წლის 23 ნოემბერი“.

განიარაღებისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შესახებ

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიიღო რეზოლუცია „განიარაღებისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შესახებ“. რეზოლუციაში ნათქვამია:

4 წლის წინათ სტოკჰოლმში გამოქვეყნდა მოწოდება ატომური იარაღის სავსებით აკრძალვის შესახებ.

კამპანიამ, რომელიც ყველა ხალხმა ამ მოწოდების გამო მოაწყო, ხელი შეუშალა კორეასა და ინდოჩინეთში ატომური ბომბების გამოყენებას. ხალხთა მედგარმა ბრძოლამ აიძულა აგრეთვე მთავრობები შეეწყვიტათ საომარი მოქმედება კორეასა და ინდოჩინეთში.

მაგრამ დღეს ჩვენ კვლავ ვდგავართ ომის საფრთხის წინაშე, რომელსაც წარმოშობს ის, რომ აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას და განუწყვეტლივ ავითარებენ მასობრივი მოსპობის სულ უფრო დამანგრეველ საშუალებებს.

ხალხთა ნებას კიდევ შეუძლია უზრუნველყოს და უნდა უზრუნველყოს ამ საფრთხის აღმოფხვრა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს პროგრესს, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიაღწია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვაში. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს შედეგი მიღწეულია მოლაპარაკების მეთოდით, რაც მოწმობს, რომ შესაძლებელია შეთანხმება კომპრომისის გზით. სწორედ ასეთმა მეთოდმა მისცა შესაძლებლობა გენერალურ ასამბლეას ერთხმად მიეღო რეზოლუცია, რომელიც გზას უხსნის ასეთი პრობლემების გადაჭრას.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა მისწრაფება — ხელახლა შეიარაღონ დასავლეთი გერმანია და შეიყვანონ იგი სამხედრო ბლოკში ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ფარგლებში, ძირს უთხრის ლონისძიებებს, რომელთა მიზანია განიარაღების განხორციელება, და საფრთხეს უქმნის უკვე მიღწეულ შედეგებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიესალმება ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ. ამავე დროს იგი აცხადებს, რომ კაცობრიობას მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება სავსებით გამოიყენოს ატომგულის ენერგია მშვიდობიანი წარმოებისათვის, როცა აიკრძალება ამ ენერგიის გამოყენება საომარი მიზნით. იგი დარწმუნებულია, რომ სავსებით შესაძლებელია შეთანხმება ამ დარგში, ისე როგორც დამაკმაყოფილებელი მექანიზმის შექმნა მტკიცე ინსპექციისა და კონტროლის განსახორციელებლად.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს დიდ სახელმწიფოებს გააორკეცონ ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ მიაღწიონ შეთანხმებას ამ მნიშვნელოვან საკითხებზე იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებსაც ახლა განიხილავენ. სანამ ეს მიზანი მიღწეული არ არის, იგი მოითხოვს, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეთანხმდნენ ატომისა და წყალბადის ბომბების ყველა იმ ექსპერიმენტულ აფეთქებათა აკრძალვაზე, რომელთა გამოვლინება ადვილად და დაუყოვნებლივ შეიძლება მეცნიერების ახლანდელ მდგომარეობაში. იგი აგრეთვე მტკიცედ მოითხოვს, რომ უკლებლივ ყველა მთავრობამ დაუყოვნებლივ იკისროს ვალდებულება არავითარი საბაბით არასოდეს არ იხმაროს ატომგულის იარაღი.

მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯები იქნებოდა მხოლოდ პირველი გადაუდებელი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ ოდნავაც არ უნდა შეაფერხოს მთავარი პრობლემის გადაჭრა: მასობრივი მოსპობის ყველა საშუალების — ატომურ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ საშუალებათა — მოსპობა და შეიარაღების საყოველთაო შემცირება. უფრო მეტიც, ეს ღონისძიებანი თავისთავად დიდი ნაბიჯი იქნებოდა იმ გზაზე, რომ დაიდოს უფრო ფართო და უფრო მნიშვნელოვანი შეთანხმება შეიარაღების საყოველთაო შემცირების, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისა და იმ საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ყველა ქვეყანაში საინსპექციო ჯგუფების გაგზავნას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ის სახსრები, რომლებიც განთავისუფლდება საყოველთაო და კონტროლირებული განიარაღების მეოხებით, მოხმარდეს ხალხთა, კერძოდ, ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების ცხოვრების დონის ამაღლებას.

იგი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს ყველგან და ყოველთვის მოითხოვონ შეიარაღების საყოველთაო შემცირება და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა. უამისოდ შეუძლებელია მშვიდობის პოლიტიკა.

ხალხთა ნებას შეუძლია უზრუნველყოს და კიდევაც უნდა უზრუნველყოს ამ მიზნების მიღწევა, თუ ხალხები გაერთიანდებიან ამ წმიდა ბრძოლისათვის და მთელი სიმტკიცით განუცხადებენ მთავრობებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავიანთ უდიდეს მისწრაფებას მშვიდობისადმი, ურთიერთგაგებისა და ადამიანთა სოლიდარობისადმი.

სტოკჰოლმი, 1954 წლის 23 ნოემბერი.

მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიიღო რეზოლუცია „მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში უცხოეთის ზეგავლენისა და სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად“. რეზოლუციაში ნათქვამია:

მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის მონაწილეებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ძალადობის გამოყენება იმისათვის, რომ ხალხები დატოვებულ იქნან კოლონიური დამოკიდებულებისა და ჩაგვრის მდგომარეობაში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

მოძრაობის მონაწილეებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ უცხოელთა ჩარევა ნახევრადკოლონიური ხალხების საშინაო საქმეებში, ამ ხალხთა ქვეყნების შეყვანა აგრესიულ პაქტებში, უცხოეთის სტრატეგიული ბაზების შექმნა მათს ტერიტორიებზე აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი არა მარტო საფრთხეს უქმნიან ევროპის ხალხებს უშიშროებასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას, არამედ მათ განხორციელებას უშუალო და მძიმე შედეგებიც ექნებოდა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების ცხოვრებისათვის, რომელთა ხვედრი უამისოდაც ესოდენ მწარე, ხოლო ზოგჯერ ტრაგიკულია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, თუ რა საფრთხეს უქადის მშვიდობის საქმეს ვითარება, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში. მალაიაში, კენიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში შეიარაღებული კონფლიქტები შეიძლება გადაიქცეს აშკარა ომებად და საფრთხე შეუქმნას მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ინდოჩინეთში ომის დროს მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობამ გამოაცხადა, რომ საჭიროა და შესაძლებელია შეწყდეს ასეთი კონფლიქტები მშვიდობიანი გზით. მოვლენებმა ცხადყო, თუ რაოდენ სწორად იყო დასახული ეს გზა. ახლა მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოითხოვს რაც შეიძლება მალე მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს სხვა ახლანდელი კონფლიქტები.

ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის ის, რომ სხვადასხვა ფორმით ხორციელდება უცხოელთა ჩარევა ხალხთა საშინაო საქმეებში, რის მიზანია თავს მოახვიონ მათ სამხედრო პაქტები და ბლოკები — თურქეთ-პაკისტანის პაქტი, ახლო აღმოსავლეთის პაქტი და სხვ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო აცხადებს, რომ ყველა სახელმწიფოს, დიდი და მცირე სახელმწიფოების, ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს იმ ხუთი პრინციპის დაცვას, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინდოეთის, ჩინეთისა და ბირმის ერთობლივ დეკლარაციაში და რომლებიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიაჩნია, რომ ახლა დიდი შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტა, ყველა ხალხის დამოუკიდებლობის პატივისცემა და ეროვნულ და დემოკრატიულ მისწრაფებათა განხორციელება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების არსებითი ფაქტორებია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მოითხოვოს, რომ მიღებულ იქნას და განხორციელდეს ეს პრინციპები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

სტოკჰოლმი, 1954 წლის 23 ნოემბერი.

დიდი ქართული წლისთავების მოწყობის შესახებ

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ გამოაქვეყნა მიმართვა შემდეგი მოწოდებით დიდი კულტურული წლისთავების მოწყობის შესახებ:

1955 წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ხალხები აღნიშნავენ მსოფლიო კულტურის დიდ წარმომადგენელთა შემდეგ წლისთავებს:

შილერი — გარდაცვალების 150 წლისთავი.

მიცკევიჩი — გარდაცვალების 100 წლისთავი.

მონტესკიე — გარდაცვალების 200 წლისთავი.

ანდერსენი — დაბადების 150 წლისთავი.

სერვანტესი — „დონ კიხოტის“ პირველი გამოცემის 350 წლისთავი.

უიტმენი — წიგნის „ბალახის ფოთლები“ პირველი გამოცემის 100 წლისთავი.

დიდი კულტურული წლისთავების მოწყობა ხალხებს ხელს შეუწყობს უზრუნველყონ მეგობრული ურთიერთობა, მიუხედავად საზღვრებისა, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და განამტკიცონ მშვიდობიანი თანამშრომლობა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოწოდებით მიმართავს ყველა ხალხს, მწერლებსა და მხატვრებს, მეცნიერებს, ისტორიკოსებს, მასწავლებლებს, ყველა კულტურულ და მასობრივ ორგანიზაციას მონაწილეობა მიიღონ ამ კულტურული წლისთავების მოწყობაში.

სტოკჰოლმი, 1954 წ. 23 ნოემბერი.

მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწვევის შესახებ

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მიიღო მოწოდება „მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწვევის შესახებ“. მოწოდებაში ნათქვამია:

ამჟამად, როცა ესოდენ დიდია მშვიდობის განმტკიცების შესაძლებლობანი, იბადება ახალი საფრთხეები, რომლებსაც შეუძლია არარად აქციოს ეს შესაძლებლობანი.

ბლოკად თვით ხალხების მძლავრ მოძრაობას შეუძლია ხელი შეუშალოს ერთმანეთისადმი დაპირდაპირებულ ბლოკებად მსოფლიოს გათიშვას, არ დაუშვას იმ არმიების აღორძინება, რომლებმაც წარსულში უკვე მოუტანეს ადამიანებს ესოდენ ბევრი ცრემლი და მწუხარება, და გაათავისუფლოს კაცობრიობა სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთისაგან. მხოლოდ ამ მძლავრ მოძრაობას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობა მათი კეთილდღეობისათვის, ნათი დამოუკიდებლობისა და საერთო უშიშროების შენარჩუნებისათვის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო საქვეყნოდ მიმართავს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალას, ყველა მამაკაცსა და ქალს, რომლებსაც სურთ იცხოვრონ უშფოთველად, ისე, რომ აღარ იყოს უნდობლობა და სიძულვილი ხალხთა ურთიერთობაში. იგი მოუწოდებს მათ გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი, სანამ გვიან არ არის.

მშვიდობის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 1955 წლის მაისის მეორე ნახევარში ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა წარმომადგენლების დიდი მსოფლიო ასამბლეის მოწვევის შესახებ.

სტოკჰოლმი, 1954 წ. 23 ნოემბერი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გასამართლება

ბერლინი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო კარლსრუედან იუწყება, იქ დასავლეთ გერმანიის ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პირველ სენატში 23 ნოემბერს დაიწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის გასამართლება, რაც ბონის ხელისუფლებმა მოამზადეს.

ბონის მთავრობისაგან სასამართლო პროცესზე გამოდის ბონის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ფონ ლეკი. იგი 1934 წლიდან იყო თანამშრომელი ჰიტლერული შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელსაც მეთაურობდა სამხედრო დამნაშავე ფრიკი. პროცესზე გერმანიის კომუნისტური პარტია წარმოდგენილია რვა რწმუნებულით. მათ შორის, კერძოდ, არიან ადვოკატები დოქტორი კაული (ბერლინი) და დოქტორი ბემე (დიუსელდორფი).

სხდომის დასაწყისში თავმჯდომარემ — კონსტიტუციური სასამართლოს პრეზიდენტმა ვინტრიხმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ უკანასკნელი „კვირეების განმავლობაში სასამართლომ მიიღო მრავალი მოთხოვნა, რომ შეწყდეს გერმანიის კომუნისტური პარტიის გასამართლება. მაგრამ მან განაცხადა, რომ სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვეტოს, მოაწყოს ეს პროცესი თუ არა.

შემდეგ ადვოკატმა დოქტორმა კრეგერმა (ბერლინი), რომელიც გამოდის როგორც გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს — გაათავისუფლოს პატიმრობიდან გერმანიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეები ფრიც რიშე და იოზეფ ლედვონი და გაიაქმოს ბრძანება მაქს რაიმანისა და ვალტერ ფიშის დაპატიმრების შესახებ. კრეგერმა აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლებს მხოლოდ ამ შუამდგომლობის [illegible] შეუძლიათ დაეწყოთ [illegible] სასამართლო პროცესი. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს [illegible] ბები, რომლებიც — უფლებიანი [illegible] საჭიროა ნორმალური სასამართლო პროცესისათვის. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის წევრებმა მოკლებული არიან უფლებას შეეფერხებლად გამოვიდნენ სასამართლოს წინაშე, შეკრიბონ მასალები პროცესისათვის და გააკეთონ განცხადებები საზოგადოებრიობისათვის. თავისი შუამდგომლობის დასადასტურებლად დოქტორმა კრეგერმა წაიკითხა მაქს რაიმანის განცხადება იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის სასამართლომ მას და ვალტერ ფიშს მოუსპო უფლება თავისუფლად გამოვიდნენ საზოგადოებრიობის წინაშე და მონაწილეობა მიიღონ კრებებში კარლსრუეს პროცესზე ყოფნის დროს, რაც ზღუდავს გერმანიის კომუნისტური პარტიის მოქმედების თავისუფლებას.

ადნ-ის სააგენტოს ცნობაში შემდეგ აღნიშნულია, რომ, როცა მაქს რაიმანის განცხადება შეეხო ამ პროცესის მიზეზებს, ბონის მთავრობის წარმომადგენელმა ფონ ლეკმა სასამართლოს მოსთხოვა შეიწყვიტა დოკუმენტის კითხვა. სასამართლომ დაიკმაყოფილა ლეკის მოთხოვნა.

ადვოკატმა დოქტორ კაულმა მოიკითხოვა, რომ ვინტრიხს არ მიაღებინონ მონაწილეობა გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში იმის გამო, რომ იგი არა მარტო მსახურობდა ჰიტლერულ სასამართლოში, არამედ ჰიტლერულ ხელისუფალთა თვალსაზრისით უმწიკვლო მოქმედებისათვის 1940 წელს მას წარჩინება მისცეს სამსახურში.

სასამართლომ ეს მოთხოვნა უარყო.

მაქს რაიმანის განცხადება გერმანიის კომუნისტური პარტიის პროცესზე კარლსრუეში

ბერლინი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, 23 ნოემბერს გერმანიის კომუნისტური პარტიის პროცესზე კარლსრუეში გამოაქვეყნეს პარტიის თავმჯდომარის მაქს რაიმანის განცხადება. თავის განცხადებაში მ. რაიმანმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ ფედერალური სასამართლო პალატის მე-6 სენატს განზრახული აქვს აუკრძალოს გერმანიის კომუნისტური პარტიის რწმუნებულებს მ. რაიმანსა და ვ. ფიშს ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს მთელი პროცესის განმავლობაში კრებებისა და მიტინგების მოწვევა და მათზე დასწრება, კარლსრუედან გამგზავრება და საზოგადოებრიობისათვის რაიმე განცხადების გაკეთება სასამართლოს შენობის გარეთ.

განცხადებაში გამოთქმულია აგრეთვე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ბონის მთავრობამ გასცა ბრძანება დააპატიმრონ მ. რაიმანი და პარტიის გამგეობის წევრები ფ. რიშე, ვ. ფიში და ი. ლედვონი იმ საბაბით, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის მშვიდობიანი გზით გაერთიანების პროგრამის შემუშავებაში. ძალაში რომ ტოვებენ ბრძანებებს დაპატიმრებისა და ზედამხედველობის შესახებ, რაც პროცესის დროს ხორციელდება, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, ამით ფედერალური მთავრობის ორგანოებს აშკარად სურთ უზრუნველყონ, რომ მათთვის ყოველ დროს ხელმისაწვდომი იყოს გერმანიის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები, რომლებიც პროცესს შეეხება.

„გერმანიის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, — უარს ამბობს კანონიერად ცნოს სამართლისა და კანონის ასეთი აბუჩად აგდება, რომელიც შეიძლება შეავიწროოს მხოლოდ ერეტიკოსთა და კუდიანთა გასამართლებას შუა საუკუნეებში“.

ჩერჩილის გამოსვლა ვუდფორდში

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). 23 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, თავისი საარჩევნო ოლქის ვუდფორდის ამომრჩევლებს მიმართა სიტყვით, რომელშიც განაცხადა: „ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ომი დამთავრდებოდა, — მაშინ, როცა გერმანელები ასეულ ათასობით გვნებდებოდნენ, ხოლო ჩვენი ქეუეები მოზეიმე ხალხით იყო გაჭედილი, მე მომტგომერის გავუგზავნე დეპეშა და მივეცი განკარგულება გულდასმით შეეგროვებინა გერმანელთა იარაღი და შეენახა იგი, რათა ადვილად შეგვძლებოდა მისი კვლავ დაბრუნება გერმანელი ჯარისკაცებისათვის, რომლებთანაც თანამშრომლობა მოგვიხდებოდა, თუ საბჭოთა შეტევა გაგრძელებოდა“.

ბრეს ასოშიეიტშის საგენტო აღნიშნავს, რომ ჩერჩილის ამ სიტყვების დროს ხალხში გაისმა შეძახილები: „სამარცხვინოა!“.

„ჩვენი პოლიტიკა, — განაცხადა ჩერჩილმა, — არის მშვიდობა ძალის პოზიციიდან“. ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, ჩერჩილის სიტყვით, „ბევრი მხრივ წარმოადგენენ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების გაუჯობესებას“.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ პრეს-კონფერენციაზე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი შეეხო საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საკითხს. ეიზენჰაუერმა გვერდი აუარა საბჭოთა წინადადებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. მან ილაპარაკა ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების შესახებ და ამასთან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობენ ასეთ მოლაპარაკებაზე ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე.

მაგრამ მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანების საკითხზე (თუ პრეზიდენტს ეს აქვს მხედველობაში) აზრი არ ექნებოდა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ, რამდენადაც დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და სამხედრო დაჯგუფებაში მისი ჩაბმა წინ გადაეღობება გერმანიის გაერთიანებას.

განაჩენი გამოუტანეს ჩინელი ხალხის მტრებს

პეკინი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო სასამართლოს სამხედრო ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა 22 ამერიკელ ჯაშუშს, რომელსაც მსჯავრი დაედოთ იმ დანაშაულისათვის, რაც საფრთხეს უქმნიდა ჩინეთის უშიშროებას. ოთხ კაცს მიესაჯა სიკვდილი, დანარჩენს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

იუგოსლავიის სკუპშჩინის სესია

ბელგრადი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაიხსნა იუგოსლავიის სკუპშჩინის სესია, რომელიც გასტანს სამ დღეს და განიხილავს კანონპროექტებს მუშაობისსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის, სამხედრო სასამართლოებისა და პროკურატურის შესახებ.

რედაქტორი ნ. ჯაში.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

26 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა ლექცია: „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის შესახებ“. ლექტორი — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. კარტოზია.

აქვე საღამოს 8 საათზე შედგება ამხ. ვ. ჩიხლაძის კონსულტაცია პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

28 და 30 ნოემბერს

ფეხბურთი

გადასასვლელი თამაში

ოფიცერთა საოლქო სახლი

(ოსტატები)

საქართველოს ჩემპიონი

ტრამვაი-ტროლეიბუსის საამქართველო

(თბილისი)

დასაწყისი დღის 3 ს. და 30 წ.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — საშობლო, **მარჯანიშვილის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად, **გრიბოედოვის სახელობის** — პროკურორის ქალიშვილი, **მუსიკალური კომედიის** — არშინ მალ-ალან, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მაშენკა (აბონემენტი № 42, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ძველ ინგლისში (6 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, სპარტაკი, კიროვის სახელობის პარკი, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მტრის კვალდაკვალ, **26 კომისრის სახელობის, ამირანი, გორკის სახელობის კლუბი** — შემთხვევა მარიეტაში, **კომკავშირელი, დიდუბე** —ავარა (II სერია), **კოლხიდა**—ჯუნგლი.

მეუღლე თამარ ოჯახით იუწყება **ქრისტეფორე ბიჭიაშ-ძე ებრალიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-XI ლანჩხუთში. გამოსვენება გორკის ქ. № 2.

მოქალაქე **ვიქტორ გიორგის-ძე დათუკიშვილმა**, მცხოვრებმა მცხეთის ქ. № 2, აღძრა საქმე ატენის შესახებ № 4 მცხოვრებ მოქალაქე **თინა ალექსის ასულ ალადაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ივდითი ლევის ასულმა ფრეიმანმა**, მცხოვრებმა მილიციის ქ. № 2, აღძრა საქმე ლენინის ქ. № 27 მცხოვრებ **სერაფიმე ალექსის-ძე ორნატსკისთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ქ. სოხუმის მედიცინის მუშაკთა კოლექტივი იუწყებიან ექიმ **კოტე გეწაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **გერონტი სილოვანის-ძე ცინცაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-XI, 8 ს. გამოსვენება 28-XI, 2 ს. მელიქიშვილის ქ. № 14.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნისა — 3-06-88. **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ეროვნებათა ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 2-51-81, გამომწვევის —3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

УЭ 15472

ჰოლოგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.